



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 83
18/12/2015

83-06-4-201512181737



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და
საჯარო მოხელეების საწვავით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური
ლიმიტების დამტკიცების შესახებ“**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის `გ~ ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის #48 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესასრულებლად გამოსაყენებელი მუნიციპალურ ან პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფა განხორციელდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N48 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან, შემდეგი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარე - 550 (ხუთასორმოცდაათი) ლიტრი;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 350 (სამასორმოცდაათი) ლიტრი;
- გ) განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - 150 (ასორმოცდაათი) ლიტრი;
- დ) აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - 150 (ასორმოცდაათი) ლიტრი;

ე) სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - 150 (ასორმოცდათი) ლიტრი;

ვ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე -150 (ასორმოცდათი) ლიტრი;

ზ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე 150 (ასორმოცდათი) ლიტრი;

თ) ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია 170 (ასსამოცდაათი) ლიტრი;

ი) ფრაქცია „ქართული ოცნება, დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - 140 (ასორმოცი) ლიტრი;

კ) ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“- ს თავმჯდომარე - 120 (ასოცი) ლიტრი;

ლ) ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე -120 (ასოცი) ლიტრი;

მ) ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“-ს თავმჯდომარე -120 (ასოცი) ლიტრი;

ნ) ფრაქცია „ჩვენი ოზურგეთი“-ს თავმჯდომარე- 120 (ასოცი) ლიტრი;

ო) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე - 120 (ასოცი) ლიტრი;

პ) საკრებულოს აპარატის უფროსი- 150 (ასოცდაათი) ლიტრი;

ჟ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე -90 (ოთხმოცდაათი) ლიტრი;

რ) საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - 40 (ორმოცი) ლიტრი;

ს) სამდივნო განყოფილების უფროსი - 40 (ორმოცი) ლიტრი

ტ) მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების საკითხებში წამყვანი სპეციალისტი-40 (ორმოცი) ლიტრი;

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.


3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2015 წლის 13 აგვისტოს N 58 ბრძანება.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი.სიორიძის ქუჩა N 14, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო